ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 269

"1" ოქტომბერი 2020 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში არსებული 43314 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.04.011.009) და ქ.თბილისში, სკოლის ქუჩის მიმდებარედ, 715 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.04.011.003) შპს ,,ჯი ემ ჯისთვის" (ს/ნ: 404398237) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის N126 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში არსებული 43314 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.04.011.009) და ქალაქ თბილისში, სკოლის ქუჩის მიმდებარედ, 715 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.04.011.003) შპს ,,ჯი ემ ჯისთვის" (ს/კ 404398237) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 1 მაისის №19.482.645 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 25 სექტემბრის №20.1127.1402 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში არსებული 43314 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.04.011.009) და ქ.თბილისში, სკოლის ქუჩის მიმდებარედ, 715 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.04.011.003) შპს ,,ჯი ემ ჯისთვის" (ს/ნ: 404398237) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 მაისის N126 განკარგულებაში და აღნიშნული განკარგულების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში არსებული 41968 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.04.011.016) და ქალაქ თბილისში, სკოლის ქუჩის მიმდებარედ,

715 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.04.011.003) შპს ,,ჯი ემ ჯისთვის“ (ს/კ 404398237) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე.“

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში არსებული 43314 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.04.011.009) და ქალაქ თბილისში, სკოლის ქუჩის მიმდებარედ, 715 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.04.011.003) შპს ,,ჯი ემ ჯისთვის“ (ს/კ 404398237) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 1 მაისის №19.482.645 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 25 სექტემბრის №20.1127.1402 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში არსებული 41968 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.04.011.016) და ქალაქ თბილისში, სკოლის ქუჩის მიმდებარედ, 715 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.11.04.011.003) პირდაპირი განკარგვის წესით შპს ,,ჯი ემ ჯისთვის“ (ს/კ 404398237) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.“

გ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 113,133.10 (ასცამეტიათას ას ოცდაცამეტი ლარი და ათი თეთრი) ლარის ოდენობით.“

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**